

Longfellow and Thoreau

11 Longfellow and Thoreau

(Lhmvn)

$$= 1919 - 1920 - 1921 \text{ or } =$$

(#1-60)

A. G. H.



କରିବାକାଳେ

✓ E.D.

1. *Pyrrhura* caeruleata N 51
2. *Pyrrhura* caeruleata N 51 ✓
3. *Pionopsittaca* N 19
4. *Pyrrhura* caeruleata N 17
5. *Pyrrhura* caeruleata N 22
6. *Pyrrhura* caeruleata N 19
7. *Pyrrhura* caeruleata N 10
8. *Pyrrhura* caeruleata N 9
9. *Pyrrhura* caeruleata N 8
10. *Pyrrhura* caeruleata N 13
11. *Pyrrhura* caeruleata N 12
12. *Pyrrhura* caeruleata N 24
13. *Lamprospiza* montezuma N 9
14. *Pyrrhura* caeruleata N 29
15. *Pyrrhura* caeruleata N 26
16. *Pyrrhura* caeruleata N 26

ა. ბ. ბ.
ფასი 6 მარტი.


№ 1

ქართველი მათრძხი

ბ ბ ი რ ა,
ნოემბრის 30
1919 წ.

შინაარსი: აქტა „ეჭვ. მათრ.“ დამოუკიდებლობისა,—მოწინავე.—რევოლუცია.—„პოეტები“.—დეპ-
შები.—რადიო დეპუტატი.—ქრონიკა.—როგორ გავხდი [სპეცუალიანტი]—სილამი ქ(ლექსი)—
პატარა ფელუტონი.—რესურიპტი ო. ი. შეკრინგს.—ნორი.

საკრთვაშორისო ბილიარდი



ინგლისი. (უმიზნებს დედამიწის ბურთს) ვნახოთ, ვინ ჩაგდებს... ვთამაშობ... მარჯვენა კუთხეში!
იაკონი. ყველა კი ვცდილობთ, მაგრამ, ვა რომ, მყონი, არც ერთში არ ჩატევა!



პ ე ტ ი

„ეშმაკის მათრახის“ დამოუკიდებლობისა

მონაცემი დამოუკიდებლობის მათრახის „ეშმაკის მათრახი“ არსებობდა, როგორც დამოუკიდებლი და თავისუფლი თრგანო.

ათას ცხრას ჩეიღმეტ წელს რუსეთი იმპერატორი რევოლუციია, რომელმაც აქეარა ბორკილები ეყელა ერს და დასთესა იმედები ცოცვების ისეთი გარდაჭმისა, რომ ჩვენი ქურნალის არსებობა ზედმეტად მაფინიერო.

განვლეს წელთა, რევოლუციისაგან აღთქმული სამეფო სათონოებისა არ დამკიდრდა და კვლავ საჭირო სეიჭმნა განახლება ჩვენი მოქმედებისა.

დღევანდელი ცხოვრება ბუცილებლად მოითხოვს, რომ „ეშმაკის მათრახმა“ აღადგინოს დამოუკიდებლი არსებობა და შექმნას საკუთარი მკვდრი ორგანიზაცია.

მისიდან თანახმად „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია, არსებული ეშმაკისა და თაგუნასაგან პირდაპირი, თანასწორი, საუკუელთაო, ფარული და პიროვნეულობური საარჩევნო სისტემით თრივე სქესის მოქალაქეთა მიერ, თავის პირდაპირსაც სისდომაზე ამა ათას ცხრას ცეტრი წლის ნოემბრის 30-ს, აცხადებს:

1) ამიერიდან „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია უკერძულ უფლებათა მატარებელია *) და „ეშმაკის მათრახის“ რედაქციულებოვანი და მოუკიდებელი თრგანოა.

2) დამოუკიდებელ „ეშმაკის მათრახის“ ლიტერატურული ფორმა იუმრინისტულია.

3) „ეშმაკის მათრახის“ მუდმივი ნეიტრალური თრგანოა და ამიტომ დაზოგადი ებრძევის ეველის, განურჩევლად ეროვნებისა, რემნისა, საციალური მდგომარეობისა, წლოვანობისა, მხოლოდ სქესისა კი არა.

4) როგორც ნეიტრალურ თრგანოს, „ეშმაკის მათრახის“ სურს პრესის ეველა წევრთან კეთილმეზობლური განწეობილება დამეჯაროს, რაოდენათაც კეთილი მეზობლები ამის საშუალებას მისცემენ.

ეშმაკი

თაგუნი.

*) ამ სიტყვაში საშიში არაფერია, ვინაიდან „მატარებელი“ ამ შემთხვევაში „პოეზია“ არ ნიშნავს.

თბილისი, ნოემბრის 30.

თითქმის საიუბილეო ნორჩ გვისრულდება, რაც ჩვენი ქვეყნის საეშავო საქმებს ვემსახურებით და ამის გამო, ცოტად თუ ბევრად, აღლოც ავართვით ქართველი კაცის ხასიათს.

ჩვენი დაკვირვებით ქართველი კაცი საზოგადოთ ეშმაკია: თავის საუკეთესო მოლვაწეს დილით რომ ერთ ბატს მიაბარებს, საღამოს უკეთ ცხრას მოსთხოვს და, თუ მან რვა მოუთვალა, ეტუკის: „ერთი რად შეგიჭიმია.“

ჩვენ კარგათ ვიცით ქართველი მოქალაქის ასეთი ეშმაკობა და აი სწორეთ, ამისთვის, ვიდრე ახალ მოღვაწეობის დავიწყებდეთ, საჭიროა მივევაჩნია, დაწვრილებით ალვნუსოთ ყოველივე ის, რასაც ვიაბარებთ და თუ ჩვენ ჩვენს სამოლვაწეო საპარტეზე დაუწევა მოველის, ჩვენი სურვილია, ანგარიში ამ ჩაბარებული სიით მოგვეთხოვთ: ერთ სპეციულიანტში ცხრას ნუ მოგვთხოვთ და, ერთის მაგიგრათ, რვა თუ ჩაბაროთ, ნუ ვისაცყედურებთ: „ეს რა გიქნიათ, ერთი თქვენ შეგვებიათ.“ ასეთი გაუგებრობის წინასწრევა თავიდან ასაცილებლად, სჯობს, ამთავითვე იცოდეს ყველამ, რა სახით ვიბარებთ ჩვენ ამ უამაღ ქვეყანას.

საერთაშორისო მდგომარეობა.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა, ასე ვსწევათ, ღულილის ხანაშია. ჯერ-ჯერიბით ყოველად შეუძლებელია გადაჭრითი ითქვა: რამდენ ხანს იდელდეს, როგორ იდუღდეს და რა დადუღდება ამ ღუღილის პროცესში. ჩვენი ნაციონალ-დემოკრატების უბრძო მგლისნს, გორგო გვაზვას, ერთ პატარა წიგნაცმი, რომელსაც სახელიად „ლანდი“ ეწოდება, ასეთი შეუნიერი ტაპი აქვთ გამოთქმული: „სდულს უბედური ჩემი გონიერა,“

სდულს, როგორც ცუცხლზე შედგმული ქვაბი, და ვერც გაუძლებს ამ ღუღილი, ვერა,

თავისა ქალა და გულის ძერა!“ ეს მარგალიტი ტაპი ზედგამოჭრილია დღევანდელ საერთაშორისო ცხოვრებისთვის, უკეთ ქვაბათ ქალაქ პარიზს ჩასთვლით, სადაც თავისურილი და ციცხლზე შემოდგმულია კაცობრიობის ბედიდაბალი.

„და ვერ გაუძლებს იმ ღუღილს, ვერა, თავისა ქალა და გულის ძერა!“ ამბობს სასოწარკვეთილი პოეტი. საბედნიეროთ, პოეტის შიში უსაფუძლო გამოდგა, მისმა თავის ქალაში ითუანა გონიერის საშინელი ღუღილი და დღესაც ისეთივე მტკიცე და უდღევება, როგორც ამ ლექსის დაწერის დროს იყო.

ჩვენა გვეგინა, რომ საერთაშორისო ქვაბიც გაუძლებს ამ მშოოთვარე ღუღილს და გასეღობას გადატჩება. ყოველ შემაცვევაში, თუ წინასძლებებ მოლოდინისა, საერთაშორისო ქვაბი არ გამოდგება ისე მაგარი, როგორც გორგი გვაზვას თავის ქა-

ლაა, ჩვენ ნუ მოგვთხოვთ ამ ს პასუხს, ვინაიდგან იმ ქვაბს ცეცხლს პატიცემული ქ-ნი ანტანტა ჟემ-თებს და არა ჩვენ.

საქართველოს რესპუბლიკა.

დღეს დღეობით, ე. ი. ჩვენი მოღვაწეობის განახლების უამს, საქართველოს რესპუბლიკა, ასე ვთქვათ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს დამოუკიდებლობა იცნო აღერბებიჯანმა და არგენტინიმ.

დღეს „ეშმაკის მთრახის“ რედაქციიც ხაჯაროთ აღიარებს ცისა და ქვეყნის წინაშე, რომ იყი სცნობს საქართველოს რესპუბლიკის სრულ დამუკიდებლობას და აღადგენს მასთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობას.

ბერძნ ჩვენგანს ძლიერ უკვირს, თუ ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა, იაპონია და სხვა ასეთი სახლმწიფოები რისთვ ს ვერ გვცნობენ ამდენ ხანს. ჩვენთვის ეს გარემოება ერთობ აშეარა და მარტივია: ილარიონ ჩიტებაებს შარზან შეიცავს მანეთი ვასესხევა, გუშინ შეგვება ქეჩაში და ვერ გვიცნო.

ასე აღვილი საქმე როდი ცნობა.

ჩვენი შეზობლები.

ჩვენმა შუკურა მგლისანმა, სოლომონ ზურგიელიძემ, (სუკუნო სენება, მის სახელი!) ბრძანა: „გლახა მტერს კარგი მოყვარე გვრჩიოს.“ სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი მეზობლების ამორჩება და ვინც ბედმა გვარგუნა, იმას უნდა შევაგუოთ. ჩვენს მეზობლებში განსაკუთრებულს შერს ჩვენი რედაქციისას იწევეს სომხეთი. ჩვენ საიდუმლო პოლიტიკა არასოდეს არ გვიწარმოებია. ჯერ ლენინი გერმანიის ვაგონში ჩაპლობილი არ ყოფილა, როცა ჩვენ საიდუმლო დაბლობმატია მოვსპერ და ამიტომაც სომხებთან დასამალავი არაური გვაქვს. რა არის მიზეზი ჩვენსა და სომხეთს შორის ჩამოვარდნილი მტკობისა? მოგახს ნებთ: მიზეზი ერთად ერთია. . სახელიდან, აშეარა მტაცებლობა. დიახ, მტაცებლობა! სომხე ა მოგვარაცა ჩვენი დაუფასებელი თემი—ალექსანდრე ივანესძე ხატ-სოვი. მოვტეაც ცტირედ ჩვენ, „ეშმაკის მთრახის“ რედაქციას, ვინაიდგან სხისთვის არაესოვის ხატისოვა საჭირო არ იყო. ყოველი ჩვენი მხატვარი ზეპირათ ხატავდა ალექსანდრ ივანის და ყოველი შეტერალი მოურავიც ფრიად დიდ სამეცნიერო იძლევა და ზოგიერთ დარგებში (მაგალითად თამაღლიაში) ხატის სხის ამონი აღლოთაც წააცილა, მაგრამ სომხეთი აქა შეაშია. სომხეთმა ჩვენ წაგვართვა ხატისოვი და განგვგბამ თუ სხვა მოგვცა სამიგიროთ, ეს სომხეთი სურვილის გარეშე მოხდა.

დამფუძნებელი კრება.

განუსაზღვრელის სიამოვნებით ვიბარებთ ჩვენ დამფუძნებელ კრებას. გაასკეცებოლ ძალობით ვეპლებით, ყოველი მისი სიტყვა (საქმეზე უკაცრავად ვართ) საზოგადოების ყურამდე მიიყვანოთ. განსაკუთრებით დამფუძნებელი კრების გამო უნდა გაიხსენოთ ქართველი კაცის ეშმაკური ხასიათი, რომლის შესახებაც წერილის დასაწყისში მოგახსენებდით: ჩვენ გვინდა, იცოდეს საზოგადოებამ, როგორ დამფუძნებელ კრებას ვიბარებთ ჩვენ, რომ შემდეგში ანგარიშიც ამისდაგვარი მოგვითხოვთ.

დამფუძნებელი კრება ორ ბანაკათ არის გაყოფილი: პირველი—სოციალ-დემოკრატები; მეორე—ფედერალისტები, ესერები, ნუკონალ-დემოკრატები, ეროვნულ დემოკრატი და დაშანაკელები. პირველი ბანაკი ერთფეროვანი მაგრამ მრავალიცხოვანია; მეორე კი მცირებიცხოვანი, მაგრამ მრავალფროვანია. განსხვავება მათ შორის საცავის: პირველი ბანაკი ცვალებულ ცუდს უწონებს ჩვენს მთავრობას. მეორე ბანაკი ცველაფერ კარგს უწონებს იმავ მთავრობას. დასასრულ ვაფრთხოებთ საზოგადოებას, რომ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთ მესამედ წევრებისა სძინავს ხოლმე კრებების დროს და თქვენ რომ გვისაცელებრით, რატომ შეტს არა სძინავს ეს უსამართლობა იქნება.

რესპუბლიკის მთავრობა.

ჩვენ უაღრესი მოკრძალებით ვიბარებთ და ჩვენი მფარველობის ქვეშე ვაყენებთ რესპუბლიკის სოციალისტურ მთავრობას.

„ეშმაკის მთარაის“ რედაქტირა მშვენიერათ ესმის იმ ურთიერთობის შინაშენელობა, რომელიც არსებობს ჩვენსა და ჩვენი მთავრობის მოღვაწეთა შორის. ძნელია იმისი თქმა, თუ ჩვენ ორში ვინ ვის საარსებო ძალას წარმოადგენს. ჩვენ, ჩვენის მხრით, დიდ იმედებს ვამყრებთ რესპუბლიკის მთავრობაზე და დარწმუნებული ვართ, ამ იმედებს არ გავიცარუებს. მთავრობის მოქმედება ის ნაყოფიერი ნიადაგა, რომელზედაც ჩვენ უნდა მოვიმკათ მთელი წლის საარჩო და თუ თქვენ ჩვეულებისამგბრ ცხრა წლის საარჩო მოგვთხოვთ, უსამართლობა იქნება, ვინაიდან ამდენს ჩვენი მთავრობა ვერ შესძლებს.

ანარქია და რეაქცია.

ორივე სიტყვა უცხო ენიდ ნ არის ამოლებული და ჩვენში რესეთის ზეგავლენით . შემოტანილი. კეთილმოვანების მხრით ორივე შევენიერი სიტყვა. ამ რაზომ ლამაზი სიტყვის უბედურობა მხოლოდ მათ შინაარსშია დამარხული. ამიტომაც შემახვევით არ არის, რომ „ბოლშვიკები“, რომელიც გარეგნობას შეუდაბეტს უურადღებას აქციებით, ვიდრე შინაარსს,

დღეს ამ ორ სიტყვას ასეთის თავგანწირვით ემსახურებიან. მათ შემოაქვთ ჩვენში ანარქია და რეაქცია რესეთის შიდა გუბერნიებიდგან. ეს ერთად ერთი საქონელია, რომლის გატანაც შეიძლება ძველი რუსეთის ტერიტორიიდან. რუსეთში იმდენი მზადებება ეს განძი, რომ თავსაყრელია მისი სამი მეოთხედი უცხო ქვეყნებში იქნას გატანილი. ჩვენის აზრით, რეაქცია და ანარქია ფულუნების საგნათ შეიძლება ჩაითვალოს ქართველი ხალხისათვის და მას (ე.ი. ქართველ ხალხს) რომ მეტი დაკვირვება ჰქონდეს ცხოვრებისა, აღვილათ მიხვდებოდა თუ რა ძირიად უჯდებ, ამ საქონლით სარგებლობა. ქართული ანდაზა ტყვილათ კი არ ამბობს: „ფეხი იმდენზე გასჭიმე, საბანი რომ ვეყოს“. ცველაფერი, რასაც უცხოელები (თუ გინდ ქართველები) უცხოეთიდან ჩვენში შემოიტანენ, რადგანების წყარით როდი უნდა იაითვ დას აარე ა და რე ქვეთ ჩასერში მდებნია, რომ ფეხი სად დაადგან, ადვილი არ დარჩენიათ. ამიტომ დევინიც და ლენინიც უზომო ფულებს ხარჯავენ ამ რუსული ნაწარმოების ჩვენ ბაზარზე გასამეცებლად. ქართულ-რუსული „ბოლშევიკები“ და რუსულ-ქართული რევულნერები მილიონებს იყენენ ამ ჩვენთვის უკარგის საქონელზე. იმ ანგარიშების მიხედვით, რომელიც ჩვენ ხელთ არის, ცველა, ვისაც ჩვენში რუსეთიდან ანარქია და რეაქცია შემოაქვს, უკვე შეძლებულ კაცად ჩაითვლება, ხოლო რამდენი იზარალ ქართველმა ერმა ამ საქონეზე, ამას ახლო მომავალში გამოვარკვეთ.

„ეშმაკის მათრაის“ რედაქტირა საქარველოს იმ დროს იბარებს, როცა სამშობლოს ბაზარი საედეო რეივე ზემოსხენებული რუსეთის ნაწარმოებით. ჩვენი გამოსვლა თითქმის იმ დროს ხდება, როცა „ბოლშევიკებმა“ უკანასკნელი პარტია შემოიტანეს თავისი ნაწარმოები საქონლისა. მათავალია, ქართველმა ხალხმა აღრინდებულ მეტი სიფხიზლე გამ-იჩინა და ეჭვით მოექცა ამ დამპალ საქონელს, მაგრამ „უცხო ხილობამ“ მაინც მრავალი აიყოლა.

სიძორე.

ჩვენი საერთო მიმოხილვა დაუმთავრებლათ ჩაითვლებოდა, თუ ეგრეთ წოდებულ სიძორესაც არ შევებოდით. სიტყვა „სიძორე“ თავისთვალ თითქმის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. ის საშიშარი ხდება შხოლოდ მაშინ, როცა რომელიმე საჭირო საგანს იეტორლიალება. აი, თუნდა მაგალითისათვის ვსთქვათ: რას წააგებდა საქართველო რომ ჩვენში ანარქია, რეაქცია, ან სპეცულიაცია თუნდა ასჯერ გაძირებულიყო? დარწმუნებული ბანდებილეთ, ბევრს არაფერს. სამაგიროთ პურისა და შეკრის სიძორე არც თუ იმდენათ სასარგებლოა. საუბედუროთ ჩვენში გაძირდა

ყველაფერი ის, რაც ძლიერ საჭიროა და გაიაფდა ყველაფერი, რაც გააძირებელია. დაგასურათოთ ჩვენი სიტყვები მაგალათებით:

გაძირდა ცხოვრების შენახვა, — გაიაფდა სიცოცხლის მოსპობა.

გაძირდა რკნის გზით მოგზაურობა, გაიაფდა მატარებლების მტკრევა.

გაძირდა სათბობი მასალა, — გაიაფდა საწყობების წვე.. და სხვ.. და სხვ..

ერთის სიტყვით გაძირდა ის, რაც უნდა გაიაფდებულიყო, ბოლო გაიაფდა ის, რაც უნდა გაძირებულიყო.

სიძირე-სიიაფის მჩჩივ ჩვენ კრიზისის ხანაში ვიბარებთ საქართველოს და კეცილებით, ჩვენი უკრნალი არ მოქცეს იმ არა საჭირო საგანთა სიაში, რომელთა ფასიც დღით დღე ეცემა.

რეპიზიცია.

საიდან დამყვა, ვერ მივმდიდარებარ, ეგ ხასიათი . (უკველია, გემოვნება მაქვს იშვიათი!)

კარგი ცხოვრება ისე მიყვარს, ვით მოძვარს ქადა: და განა თუ დღეს? ის ოხერი კვლავაც მიყვარდა. ძელიად ამ ჩემს ნოჭს, აგრე რგათ ვერ ვამედავნებდი. (ვფრიქობდი, იმა გამედავნებით თავსა ვავნებდი.) ან კი ვინ იყო ძელიად შემწე და გამჾითხავი?

დღეს სულ სხვა დროა, მეგობრად მყავს ქალაქის თავი.

ჩემი გულისთვის თუნდა ცეცხლში გადავარდება, და მცირე თხოვნა შემისრულოს არ დამზარდება.

არ ვიცი, იშხომ უყარი იქნების ვინა, ვერ გაარჩიოს აეისაგან მან კარგი ბინა?

შემ ახვევით ვწინე ერთი სახლი გარმა უს ნში, და ც ადგენ ტუკი, წილი შემ ჯდა ანში. გარე ეხია მას წალკოტი და ცუკრი შევახ, ქამოხებს ჰავადა, ანგლოზთა იყო სავანე. იმ სახლში დგომა გულმა მყისვე შეისისლორცა და როცა ვნახე იქ სხვა იღგა, ფრიად მეოცა. აღსმარი ფიცხლავ შემდგომლობა და ცნწერდი, რომა:

მე გაწევს კისრად ქვეყნისათვის უზომო შორმა, რომ რესპუბლიკა ჩემს მხრებზე დამყარებული, და თუ მე არა, დაიღუპა მთელი მაშული. ამიტომ მეთქი, (ცნწერდი ასე) გაგადეთ მდგმური და მე მომეტით საცხოვრებლათ იგი სადგური.

თუ ეს არ ჰქონით, გადავდები სამსახურიდან და რესპუბლიკის ბედილბალსაც მოვისნი მხრიდან. გასპრა მუქარამ, სხვა არ იყო ჯანი და ლონი, გამოითხოვს სადგომიდნ სახლის პატრონი. გადარჩა ჩვენი რესპუბლიკა, დიდ განსაკულტა, მაგრამ მე კვალაუ დარჩ ცეუზლე და სატანჯველა.

ამაზე უფრო შორს სად წავა თავის აგდება?: იუკადრისა იმა ვაჟმა გარეთ გაგდება!!!

ვიცი რომ ხალხი საზოგადოთ გამედიდურდა, მაგრამ ვერ მიხვდი ამ ვაჟბატონს მაინც რა სურდა! „არ გამოეალო“ უსირტევილოდ მემუქრებოდა, მოედებოდა ღობე-ყორეს, სწუხდა, სწყრებოდა. „ნოეს ვეტყვიო“ — ბოლოს ესეც კი გამიცხადა (უქველია, შეშინება ჩემ ეწადა).

მაგრამ ამ მხრივაც საგულეზე მქონდა მე გული (სააგარაკო იყო ნოე გამზადებული) რა გზები სკადა, რა ხრიები გამოიყენა, არა თუ წერით, ზეპირადაც ვერ იტყვის ენა, და მხოლოდ მიტომ, რომ კანონს ჰყავს კარგი მცელები,

დააბანინეს იმ ვაჟბატონს სახლზე ზელები:

ამა უზრდელმა, ქედი მაინც არ მოიხარა და უნამუსოდ ჩემზე ჯავრი ამოიყარა.

გამოალაგა სახლის ავეჯ-სამქაულები, (თითქო მე ახლის შესაძენათ მეწყოს ფულები) ტყბილათ მივმართე: — მეგობარო, ამას რას ვერები? სკამებს მომ მართმევ, იატაზე დასხა ბავშვები? მიგაქვს შემწები, მაგიდები, მიგაქვს ტახტები... მე დასწოლად ბუხრის თავზე ხომ ვერ აეტრები? მითხარ, თაღ არის აქ კანონი და სამართალი? (ავლელი კიდეც მცირეოდენ, თუ გსურ მართალი) შან ჩემი ალექსზე ერთი ავალ შემიმღილინა და პინძონც თოაზიდან გამოაძრინა.

მოყმის უქმები საქულილი გულზე მელოდა, მაგრამ იმისგან თურმე მეტი ტანჯვა მელოდა.

მას ცოლი ჸყავდა, მოწყვეტილი ვარსკულავი ცისა, ყელოლებილი, ჯეირანი ვით ცივი მთისა, შეგეხდე იმას და ის ტურფა მყის მომეწონა, ვარდი კუკობი, გაზაფხულის ყავეილთა კონა. ვთევი: — დე, წაილოს მან ივეჯი ჩემი სახლისა, ხომ ვერ წუმართმეუს ამ თვალწარმტაც დიასახლისსა!!

— კა... ცია მაშ ბოლოკის კუდი ყოფილა, თუ ეს სამამ მოლოდნიც გამიბითილა. მართალი არის, მარტომდენ თხოვნაც კმაროდა, მაგრამ მეგობრებს უქვი გულს რომ არ შევპაროდა, მე ჩემი ცოლი ამ ზამთრის პირს ვაგარე, მთებში გავხიზე, თითქო ვნებდეს აღილი ვაკე. უკვე მზად შეონდა ცელავებერი, ვაკეთებული, ჩემი მსახური რომ მოვარდა დაფეთებული.

მითხარ: ბატონო, რა ლიდ გაქვს, თურმე, ძალაო, აბა, იქვარე, სახლი უკვე დაიცალაო.

— რას ამბობ, ბიქოზესახლი როგორ დაიცლებოდა, დიასახლისი მისი მაინც ხომ დაჩემდოდა? — აბა ბატონო რასა ბრძანებ შენ გენაცვალე? ცოლს როგორ დასტოეს, ეყოს სახლი რომ აცალე. რევფიზიცა მაშ რას ნიშნავს ვერ გამიგია!.. სახლი თუ მომცეს საცხოვრებლათ, როგორც რიგია, რა უფლება ჰქვს სახლის პატრონს ნივთის წალების და ჩემი ბინის გაუდაბურ-გაჩანგების? მე კი ავეჯზე არ გამწყრალვარ, დაუუთე სრულად, მით არ ველოდი იმისგან მოქცევას მტრულად.

ამ არ დამზოგა. ბინა სრულად გამიპარტახა, და შენი კუუით მე აქ ვიჯდე, დავალო ხახა? სად ჩემი ცოლი და სად იგი ტურფა მნათობი?.. არა, მე ამგვარ სითაცხედის არ ვარ დამთმობი. ეხლავე ლავსწერ ახალ თხოვნას, სადაც სჭირია, ვაძცნო თუ ყოფა ჩენი რაომ გასაჭირია.

დავჯექ და თხოვნა ჩეს ჟეგობარს, გაუშანულე, უსამართლობა მთელი თვალშინ გადავუშალე. ავნუსხე დარტი გულსა მეუნდა რაც მონაწილი, (თუ როგორ უტუხად არ დაპირმო მან მისი ცოლი,) და მოვითხოვე: კ ნონს ექმნეს პატივისცემა, რომ აიძულონ წანართმე ი ქალის მოცემა. იმედით სტეოვრობს ამა სოფლად კაცი ყოველი და შეც თხოვნისა ასრულებას კვლად მოველი.

ეშმაკი.

„პოეტები“

ჩემი გეგმა ბრწყინვალედ შევასრულე, რადგან გარეგნობითაც სომებს ვგვარ და სომური ენაც ისე ვიცი, როგორც ქართული.

პირველი მხოლოდ ერთ გაზეთში გამოვაცხადებინე ყრუთ:

— როგორც გავაგვი, იმ მოკლე დროში არარატის რესპუბლიკი დედა ქალაქს ესტუმრება ცნობილი სომხის მოღვაწე მანუქ ტერ-ხურუშიანცი, რომელიც აქამიძე პარიზში სტეოვრობდა. ბ. ტერ-ხურუშიანცი განსაკუთრებულის დავალებით გამოუგზავნიათ ევროპის პოლიტიკის მესკეურებს და ამის გამო მის ჩამოსკლას სომხის მთართველი წრეები დღი მნიშვნელობას აძლევენ.

ეს ამგვარ მეორე დღესვე დაიბეჭდა ერევნის გაზეთებში.

ერთი კეირის შემდეგა, ჩემივე მეობებით, თფილისისა და ერევნის პრესაში შემდეგი ცნობა გამოქვეყნდა:

— გუშინ კონსტანტინოპოლიტ ბათუმისკენ გამოემგზავრა ცნობილი მანუქ ტერ-ხურუშიანცი, რომელიც ბათუმიან პირდაპირ ერევნის მიემგზავრება.

ხოლო კიდევ სამი დღის შემდეგ ბათუმის ნაეთხადგურზე მანუქ ხურუშიანცის, ე. ი. ჩემს შესახვედრად შევრჩენე ერევნიდან ჩამოსული მთავრობის წარმომადგენელები და აგრეთვე აღილობივი სომხების შესაურები.

როცა დარტშმუნდი, რომ ყველაფერი რიგზე იყო კიდეც და დრო იყო სურუშიანცის გამოჩენისა, ფრთხოლაც ავიპარე ახალმომდგარ გემის „Circassie“—ს ბაქანზე, შეუმნევლად ჩავირმინე რამდენიმე საფეხური პირველი კლასის კაიურის კიბისა, მოკრიალდი და ისევ ბაქანზე ამოვედ დარბაისლური ნაბჯით და მთავალული ღმილით, როგორც მე, მანუქ ხურუშიანცს, შემუშავდა. ჩემ შესახედრად მოსულმა „თანამემამულებმა“, რომელნიც ის იყო გემზე ამოდიოდნენ, დაანხისათანავე „მიცნეს“ და

„Circassie“-ს ბაქანზე მოხდა გულის ამაჩუქებელი შეხვედრა ახალწავოსული სომხის მოღვაწისა.

— პირველი კითხვა, რომელიც ჩემმა „თანამემამულებმა“ მომახალეს გემშევე შემდგომად მისალმებისა, შემდეგი იყო:

— როგორ არის, პარუნ მანუქ, ჩემი საქმე: ხომ არ დაადასტურებენ საქართველოს დამოუკიდებლობას?

— ჩენი საქმე ჩინგულად არის: საქართველო ვერ ელირება დამოუკიდებლობის დადასტურებას! — დამშვიდე მე ჩემი მოსაუბრები.

ნავთადგურილად პირდაპირ რკინის გზის სადგურზე წავედით და მატარებლით გავემგზავრეთ სომხეთისაცენ. თბილისში შევლა არ მოისუვე, რადგან ჩემი მიზანი ერევანი იყო და მეორე დღესვე არარატის რესპუბლიკის სატახტო ქალაქში ჩავედით.

იმ ღამის დასვენების შემდეგ ენერგიულად შევულები აღილობრივი მდგომარეობის გაცნობას. ყველაზე უფრო მე სომხების სახელმწიფოობრივი აპარატის მოწყობილობა მაინტერესებდა და ვთხოვე, გაეცნოთ ჩემთვის ყველა სამ ნისტრო და დეპარტამენტები. ახსა-განმარტებისათვის თვით ალექსანდრი ივანი ხატისოვი მახლდა თან და თითქმის ყოვესავე წვრიმალს თვითისებური შექმეტყველობით მისსნიდა და ამიტერდა ხოლმე.

— უნდა გულ ახლილათ მოგახსენოთ, პარუნ მანუქ, რომ ჯერ ჯერობით ყველა უწყებები ვერ არის რიგზე აწყობილი და ყოველმხრივ და რულებული. მაგიდები მი ჩენ ჩინგულად გვაქვს გამართულ უმთავრესი სამინისტრო. ამ უწყების გამართვით ჩემნა მთავრობამ და პარტიამ ქეშმარიტად მთელ ქვეყანას დაანახა, თუ რა შემოქმედებისა და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ნიუკი ჰერნია ჩენ ხალხსა და მის მესვეურების. მე ჯერ არ დაგისახელებთ ამ სამინისტროს. ჯერ ნახეთ და მერე მოგახსენებთ მის სახელს. ეს კი იცოდეთ, რომ ამ უწყებაზე დამოკიდებული ჩენი ერის მომავალი კეთილდღეობა.

— განათლების სამინისტრო იქნება!

— არა, პარუნ მანუქ! განათლების სამინისტრო, როგორც მახსოვეს, ჯერ ჯერობით, სულაც არ უნდა გვეკონდეს. მე რომ მოგახსენებთ, ის სულ სხვა უწყება და მისი მნიშვნელობა გაცილებით დიდია, ვიდრე განათლების უწყებისა.

მე ძალიან დამაინტერესა ამ უცნაურმა სამინისტრომ და მაშინვე წვედი მის სანახავათ. გზაში რამდენიმე საზოგადო დაწესებულება შეგვხდა, ერთორ სამინისტროსაც ჩაურეთ, მაგრამ მთა წინ კაცის ქავანებაც არ იყო და თითო-სართულიანი პატარა შენობები, სადაც ეს უწყებები იყო მთავალებული, ისე გამოიყურებოდენ, როგორც იმოლი და უჭირისულო ბალები.

ბოლოს მივადექით ერთს შშენიერ სხალს. ნამდვილ სასახლესა ჰერიდა: წინ ლამაზი ბალი ჰერნდა გაშენებული და კოხტ მოედანი იყო გაშლილი. მოე-

დანზე ხალხი ირყოდა. ეტყობოდა, რომ ნამდვილი სიცოცხლე და საზოგადებრივი მაჯის ცემა აქ იყო.

— აი, ეს გახლავთ! — მითხრა ჩემმა მხლებელმა, ავტომობილიდან რომ ჩამოვედით.

— ეს რა ხალხია? ვკითხე მე.

— ეს ჩენი პარტიის წევრები არიან, დაშანაკუანძები.

შემ რომ შევედით, ასე მეგონა, წმინდა ტაძარში ვიმყოფები მეთქი. ისეთი აუშფოთებელი სიწყნარე, ისეთი დისადი დამშილი სუფედა საუცხოვო დარბაზებში, როგორიც მხოლოდ ღრმად მორწმუნეთა სამლოცველოში თუ იქნება ხილმე. საკირველი ის იყო, რომ დარბაზებში მრავალი მომზუავე ისხდა შეგიდებათ თავისაღწნული და შემოქმედების აღმურით აგზნებული და ერთი ბერა რა არის, ოდნავი ბერაც კი არსად ისმოდა. ხალებით მოფენილ იატაჭე საოცარი მორიცებითა და სიფრთხილით მიღი-მოღილილნენ მსახურნა, თითქოს წმინდა ზიარებით საესე ბარძიმი უჭირავთ ხელში და ეშინიათ, არ დაგველვაროს. ესენი მიდიოდნენ მომუშავეთა მაგიდებთან, გამოართმევდნენ ფრთხილად რაღაც ქაღალდებს და ეს ქაღალდები შექვეგ ყველას იქ მიჰქონდა, საღაც ტელეგრაფის აპარატი იყო გამართული.

ამ საოცარმა სურათმა საესებით შემიპყრო და გამიტაცა. იმავ წუთში დამავიწყდა ყოველივე ამ ქვეყნიური ამაოება და მოელა ჩემი არსება უაღრე-შეა სულიერმა სიამე აასო.

— სადა ვართ? — გაუბედავის ჩერჩულით ვკითხე ალ. ხატისონს.

— ჩენ ვიმყოფებით „საქართველოს განქი-ქების სამინისტროში.“ — მიპასუხა მან და ამა-ყად შემომხედა.

— სადოა? გაუმეორე მე კითხვა.

— საქართველოს განქი-ქების სამინისტროში, პარუნ ჩაწუქ!

— რას აკეთებენ ესენი? — კვლავ ვკითხე მე და მომუშავებზე მივუთით.

— განაქი-ქებენ, პარუნ მანუქ, განაქი-ქე-ბენ! თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენი შრომა და ენერგია დაირჩარჯა ამ უწყების გასამართვად. აქ ჩენ შეკვეთით ჩენი პარტიის საუკეთსო პოტენ-ტი და მართალი მოგახსენოთ, მათ საესებით გამართლეს იმედი. ამა ერთი დაკვირდით, როგორის სიყვარულით ეკიდებიან საქმეს!

მართლაც, „პოტენტი“ გაფითხებული სახე, აგზნებული თვალები, რომლებშიაც ღვთიური ცე-ცხლი ელავდა, აუწერელი სახის მეტყველება, ყა-ველსავე ნამდვილს ხელვანს რომ ასაითებს შემოქმედებს ქამს, — ყველა ეს აშეა ჩად მოწმობდა, რომ ისინი მთელი მათი ასებათ გაეტაცა საყვარელ საქმეს და შემოქმედების ბედნიერებას სრულიდ განიცდიდნენ.

— აი, ნამდველი პოეტები!- აღტაცებით ჩამჩრებულებდა ალ. ხატისოვი: მათ არ იციან, რა არის საკუთარი ინტერესები და პირადი ბეღნ: ერება... ეს სამინისტრო ასე მუშაობს დღიუნ-ლამიანა... ჩენი პარტიის და მთავრობის ენერგია აქ არის დაგროვილი და რა გასაკეირალია, თუ სხვა, ამასთან შედარებით ყოველად უმნიშვნელო უწყებები, ვერ არის სათანადოთ მოწყობილი და გამართული.

— არ შეიძლება, პარუნ ალექსანდრე, იმ სასიქადულო შოლგაშეთა შამოქმედების ნიმუში მაჩვენოთ?

— სიმოვნებით! — მიპასუხა მან და გამოართვა ერთ მსახურთაგანს ქაღალდი, რომელიც ტელეგრაფის საპარატოში მოქმედდა.

— წაიკითხეთ!

ქაღალდის ფურცელზე ეწერა:

„გუშინ ქალაქ თბილისში, თვისუფლების მოედნზე, უკავალ ხალხის თანდასწრებით საქართველოს სამხედრო მინისტრმა ნ. რამიშვილმა და ენერგეტიკულების წმინდა ნამაზი და შემდეგ ყოფილ სამხედრო სობოროში, რომელიც ეხლა სამხედრო მეჩითად არის გადაკეთებული, ფუცი დასტის საჯაროთ ერთი წიაშე, რომ მანამ არ ჩაგებენ მახვილს, სანამ ერთი ცოცხალი სომები კიდევ იქნება ქაუკაზე.“

შემდეგ მოსდევდა ასეთი ცნობა:

„თბილისში და მთელ საქართველოს ტერიტორიაზე სომები მცხოვრებთა სახლების კარგზე, ეს რამდენიმე ღამეა, ჯვრებს ხატავენ. საქართველოს სომხების ზარ განიცდის, რაღვან მათი დარბევა დაწყეს კიდეც ქართველებმა: გურიაში და სამეგრელოში არცერთი სომების აღარ მოიპობა, ვინაიდან აქ ჯვრებით დანიშნული სახლების მცხოვრებლები ამოქმეცეს. იგივე დღე მოელის დანარჩენ კუთხების სომხებასაც.“

— როგორ მოწეონ? ნამდვილი პოეზია არ არის? — მკითხა ჩემმა მხლებელმა: — არა, თქვენ ფართის სიძლიერეს დაკვირდით... ნუ დაივიწყეთ, ბატონონ მანუქ, რომ დღე და ღმებში 500-მდე ასეთი ამავავი ითხება და იგზავნება დაუყონებლივ ქვეყნის კუველა ცენტრებში.

— ჩინებულია! სწორედ რომ ნამდვილი პოეტები ყოფილან, — წავილუღლუღლე მე და ამ განაკუან „პოტენტის“ გვერდით უეცრივ თვალშინ დამიღება სომხების ერთი მაღლიანი პოეტი. მე ნათლიდ ვხედავდი მის გამხდრსა და ახოვანს ფიგურას, რომელიც ყველოვნების კეთილშობილ დონკიხოტის ფიგურას მომაგონებს ხილმე, მის მუდმივს, გულებეთილ ღიმილს ფერმერთალ სახეზე, მის თვალებს, სიბრძნისა და სიმშეიდის ნელი სიხარულით რომ უბრწყინავს ნიადაგ — და გულში ტკივილი ვიგრძენი.

— საყვარელო პოეტო! — ვამბობდი მე ჩენ გულში: მე მრწამს, რომ შენისთან პატიოსანი მო-

ლვაწე კიდევ ბევრი ჰყავს შენს მუბნელ ერსა. რომ ერთხელაც არ გაისმა საქვეყნოდ თქვენი კეთილშობილი ხმა იმ „პოეტების“ შემოქმედების წინააღმდეგ, ამ საარაუკა დეპარტამენტში რომ ეწევიან თვეინთ საბარცეკვნო მოლექტობას! აგერ ორი წელიწადი სრულდება, რაც მათი „პიეზა“ განუწყვეტლივ ჰქმავს ჰაერს და რა მაზეზია, რომ თქვენ, რომელთაც ასე გულწრფელადა გსურთ მეზობელ ხალხთა შორის ძმობის გამტკიცება, ერთი საპროტესტო სტუვაც კი იჩ დაგიძრავთ ამ „კაზმულ მწერლობის“ გამო? მერწმუნე, პატივცემულო პოეტო, რომ თქვენი პროტესტი საქართველოს რეაბილიტაციისთვის იმოუნად სკირო არ იქნებოდა, რამოდენადაც თვით თქვენი ერის რეაბილიტაციისთვის, რადგან თქვენი ხმა წმინდა ზარის ჩეკასავით გაისმებოდა ყველგან და როდესაც დაშნაკუპან „პოეტების“ თხზულებათა თვისება გამოაშეარივდებოდა საქვენოთ, ასე იტყოდენ: „მართალია, სომხის ზოგიერთი წრეები კი სცლილობდნენ ორმო გაეთხარათ მეზობელ ერისათვის, მაგრავ კველა სომხები აქ არაფერ შეუაში იყვნენ.“ ეხლა კა, ეხლა რას იტყვია?

თქვენ რაღამაც ძლიერ გაგიტაციათ, ბატონი მანუქ! — გამაწყვეტინა ჩემი ფიქრები ალ. ხატისონმა. — ქმარა, წაფა უერ აქედან! შე დღესვე უნდა გავემგზავრო პარიზისაკენ! — უკავარი შე. — რას აჩქარებულხართ? — იმაზე უკათეს, რასაც აქ ვხედავ, უარწმუნებული ვარ, ვეღარაფერს ვნახავ ერევანში... იმავ საღამოს გამოვემგზავრე და მეორე დილით თბილისში ჩამოვედო.

თაგუნა.


ახალ-დაბარსებულ სახელმაზიოთა ცენტრის საკითხები.




ბართყები გვეყო ლოდინი! მოგვხედე!

ჩიტი... !?

ს ა მ უ ვ ი დ ღ მ ჲ მ ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა.



ძლიერს! აგერა ზეთის ხილის შტონიანი მტრედი მოფრინავს! გაუმარჯოს საერთაშორისო შეგიდობიაზობას!



ფუ, ეს რა ამბავია! რუმინია ყოფილა:

დენიკინი მოსკოვისაკენ.




დ ე პ ე შ ე ბ ი

თფილისი. ნოემბრის 29. ფოთილან იუწყე-
ბან, რომ ნაცისალგურში შემოვიდა 16 ამერიკული
გემი კანადის ოქტორი ფქვილით დატვირთული საქა-
რთველოსათვის.

გორი. ნოემბრის 29. ფოთილან მიღებულ ცნო-
ბის თანახმად ნაცისალგურში შემოსულა 8 ამე-
რიკული გემი, კანადის თეთრი ფქვილით დატვირ-
თული, საქართველოს ჩესპებლიკისათვის.

ზესდაჭონი. ნოემბრის 29. საჩრდენო წყაროე-
ბიდან გავიგეთ, რომ ფოთის ნაცისალგურში შემო-
ვიდა კანადის თეთრი ფქვილით დატვირთული 4

მუვიდოგიანობის ძაღლი.



8. 6


ეხლა კი აშკარაა, რომ მშვიდობიანობა მქოდა
ნიადაგზე დამყარებული.

ამერიკული გემი. ფქვილი დანიშნულია საქარ-
თველოსათვის.

სამტრედია. ნოემბრის 29. ფოთის ნაცისა-
ლგურში შემოსულა ორი ამერიკული გემი კანადის
თეთრი ფქვილით დატვირთული. ფქვილი საქარ-
თველოს მთავრობას გადაეცემა.

ცოთი. ნოემბრის 29. ეს მეოთე დღეა უცხო-
ეთიდან ნაცისალგურში გემი არ შემოსულია. დღეს
ამერიკაში გაემგზავრა თამბაქოთი და მატყლით და-
ტვირთული გემი „ჩერჩეტრი“, რომელიც თე-
ბერვლის დაღვეს უკანვე დაბრუნდება და ნაც-
ხლად გატანილი საქანლისა მოიტანს კანადის
თეთრ ფქვილს.

ფ ი უ მ ე ს ს ა კ ი თ ხ ი



სანიმუშო რადიო-დეპეშები.

გოლუვვილების ცნობები.

მოსკოვი ც. ა. კ. ბ. ზ. ჩ. ჩ. ი. ს. კომუნისტური მოძრაობა ქვაბლასაც მოედო. გლეხაცობა ერთხმათ მოიხსოვს საქონა მთავრობას. გაფიცენ ყველა ქარხნები და ფაბრიკები. ტრამვაის მიმოსილი შესწყდა. მოსალოდნელია ელექტრონზე მომუშავეთა გაფიცენაც. ანტანტის იმპერიალისტები ამაღლ სკლილობრივ მოძრაობის ჩაქრობას.

მოსალისეთა არაიის ცნობა.

ტაგანროგი. ქალაქ კურლიუკვილან ბოლ-შევიქების გასულის შემდეგ მოხდა ებრაელთა და-

ჩევევა, გაძარცულია ყველა მაღაზიები და კერძო ბინები. დახოცილთა და დაჭრალ დასახიჩრებულთა რიცხვი დაახლოებით 2000 კაცს არ აღმატება. მესამე დღეს გენერალმა კრისტენმა აკრძალა ებრაელთა დარბევა. გენერალი დენიკინის აზრით ებრაელებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვენ და ღიდი უსამართლობაა უდანაშაული ხალხის სისხლის დალვრა. ქალაქში უდიდესი სიწყნარე დამყარდა.

გერმანული პრესა.

ნაუენი. გერმანიის ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველთა ანტანტის სახელმწიფო შიგრ

განზრანული ძირის გამოთხრა, დააქვეითებს რა ხალხის კეთილდღეობას, სულიერისა და გონიერივი წინცელის „შესაძლებლობას, საშუალებას მისცემს ცბიერ ინგლისს, როცა უკვე მოიშორა მან ეკონომიკურ სფეროში თოთქმის თვალსაჩინო შეტოქეთა დაღი უმრავლესობა, კიდევ უფრო განავითაროს თავისი მრეწველობა და ამით საბოლოოთ დასცეს ისედაც ხანგრძლივა ომისაგან ძირ-ფესვიანად შერყეული და გამარჯვებულთა მიერ დანგრევის კარებამდე მიყვანილი გერმანიის „შინა მრეწველობისა და ეკონომიკური კეთილდღეობის აღრიბინების შესაძლებლობა.

ზრანგული პრესსა.

ლიონი. დღეს პარიზიდან გაფრინდა სახელმწიფო მუნიციპალიტეტის ელვორი, რომელიც ქალაქ რეიმსში მიიტანს კლემანს წერილს და დაბრუნდება უკან. ამით მიღწეულია ახალი რეკორდი სისწრაფისა.

უმაღლესში საბჭოო თათბირი იქნია და რუმინიის ნორტა წარუდგინა ბუდა... (დამაზინჯებულია).

იტალიური ცენოზები.

ქალაქ ლოზაში იტალიის გენერალს, ჩიორელს ნადიმი გაუმართეს. წარმოითქვა მრავალი სიტყვა იტალიის ჯარის მხნეობასა და სიმამაცხე.

რუმინიაში მოვიდა იტალიის მისია, რომელმაც უნდა გამოიყვითოს ადგილობრივ ბაზრის სიფართე. მისიას ნადიმი გაუმართეს, რომლის დროს მინისტრმა პეტრესკუმ განაცხადა: იტალიას ძმური კაშირი უნდა ჰქონდეს რუმინიასთან, როგორც რუმინიას იტალიასთან.

მილანიდან გაფრინდა იტალიელი მფრინავი პანჩელი.

ქრონიკა

რეკლამისამართი. „ეშმაკის მათხახის“ რედაქტორი გადასწყვიტა მოახდინოს რეკვიზიტის შემდეგი შენობებისა:

სასახლის—უურნალის რედაქტიისთვის, სახელმწიფო თვალის—კანტორისათვ ს, ყოფილ კადეტთა კორპუსის—სტამბისათვის, ზუბალაშვილის სახლის (სადაც მოიავსებულია მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ქორდანას, ბინა და საგარეო საქმეთა სამინისტრო)—თაგუნას საცხოვრებლად, ფრიდონოვის სახლის, (სადაც ამ უმაც შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამაშვილი სცხოვრობს) — ეშაკის ბინისათვის. დაინტერესებულ პირთ ნება ეძლევათ თავისთვის ბინა ექცხონ.

ჩამობრძანება. სარწმუნო წყაროებიდან გვიგეთ, რომ თფილისში ინკოდნიტო ჩერი მატა-

ბლით ჩამობრძანებას აპირობს გურიის ბოლშევეკუმუნისტთა პარტიის ბელალი ცნობილი ანტიბრიტანისტი პარტია. სატახტო ქალაქის სისხლისა მილიცია დიდ ფაციუუციშია ქვირფასი სტუმრის მისაღებათ.

ზარალთა ბრძოლა შევარდნება. გუშანწინ ქართულ კლუბის შენობაში მილიციონერთა ასზმაუბნის კომისარის მეთაურობით შეიძყრო ცნობილი ბრძანების ხელმძღვანელი შაქრი ბერიშვილი და მთელი მისი ბრძოლა. შევპრობილი ყაჩალები გაძლიერებული რაზმის თანხლებით მეტების ციხეში წაასესეს.

ეს ცონბა დაბრუნდილი იყო კიდეც, როდე აც გამოირკვა, რომ ბ. შექრო ბერიშვილი და მისი „ბრძოლა თურმე ღრამატეული სტუდიის ყოვლიდ უწყისარი მსახიობები ყოფილან და უბრალო გაღებრობის მსხვერპლი გამზღვრან. ამ სამწუხრის შეცდომის მიზანი ყოველია სათეატრო აფიშა, რომლის ბოლოვი რეესორსა და მის თანაში მწერან ერთად გამოცხად ბული ცო: „ბრძოს ხელმძღვანელობაში შექრო ბერიშვილი.“ იმედია ასეთი აღმაშენობელი „ცეცომა“ კადვა იღარ გამოიწვება და მიერრიდან წენა მილიცია უფრო დაკვირვებით მოეპყრობა თავის საჯერეს.

შეპრობილები დაუყონებლივ გაუნთავისუფლებიათ.

როგორ გავხდი სტეკულიანტი^{*})

ეს მოხდა გასულ ზაფხულის ივლისისის დამეგებს.

თფილისში მზემ ისე დაუცუნა, რომ ქალაქი ვებრეტოლა გახურებულ ტაფას დაემსგავსა. ამ ტაფაში იხილებოდენ საბრალო თფილისელები, ასე რომ ქუჩებში შიშინიც კი მოისმოდა.

სამახურიდან რომ დავბრუნდა, კარი ჩემმა ცოლმა სამორი, სუნ-ალებულ მექებარსავით გაჩერდა, ჰარი დაყინოსა და გაანჩხლებით მომახალა:

— შენ კიდევ არ მოიშალე რესტორანებში სიარული, შე უნაშესოვ?

— ქალო, რის რესტორანები, ხომარ გაგიგდი?, დალის დავიკნავლე მე სისუსტისაგან.

— მაშ რა არის ეს მწვადის სუნი რომ შემოგვა აქა?

მე თავი დაღლუნ და კისერზე ვანიშნე.

— უყნოსე! ვუთხარ მე.

ჩემმა ცოლმა შექველა.

— რამ დაგწვა? მომაძლა მან.

— მზემ, უყბასუხე მე და უცებ შეენიშნე, რომ ზემო სართულიდან ქერში წყალი ჩამოიდიოდა ჩანჩქერივით.

— ეს რა ამბავია? დავიკვირე ახლა მე.

— ეს ზევითა მდგმელების ოფლია—მიპასუხა ცოლმა: კველა სართულებში ეგრეა!

^{*}) თქმული ბორჯომის პარკში, ზ აგვისტოს „საღამოზე“.

მხოლოდ ახლა დავინახე, რომ ყველა ოთახში იატაქზე იფლის მორევი იდგა და ჩემი ხუთივე შეილი შეგ ცურავდა.

— მაშინ გადავწყობიტეთ თბილისიდან გაქცევა.

— ფული სად ვიშოვოთ? ჩაწყვეტილი ხმით მკითხა ცოლმა.

— გააღეთ ტანისამოსის შეაფები! - გბრძანე მე. გააღეს.

— დაუძხეთ მექველეს!
დაუძახეს.

— ჩენ შეიღნი ვართ - დავიწყე მე: გვაქვს შეიღნი საზამთრო პალტო, შეიღი ხელი საზამთრო ტანისამოსი, შეიღი ქუდი, შეიღი წევილი კალოში და ორი ხალიჩა. განა სიგივე არ არის ამ ყოვლად უვარესი ნითვების აქ დატოვება ამ პაპანაქება სიცხვი? სიკივეს მოვესწრობოდეთ, თორემ, თბილებს ჩავიცამთ კიდევ?. . გაყიდოთ!

— ვაშ! დაიყიდრა ერთხმად ჩემიჭალაბოიამ.

ზემორე ჩამოთვლილ ნიერებში 8 ათასი მანათი ავიღეთ და ბარგიც შევარით წამოსასვლელათ.

— როგორ მიიტანთ ამ ორ მაფრაშას საღგურზე? — ვკითხე მუშებს.

— ორივეს ას თუმანათ, ბატონ!

ჩემ ცოლს გული შეუწუხდა. მე კი სლოკინი დამაწყებინა ამ პაპანაქება სიცხვი.

კაპეირა არ დაუკლეს. იძულებული გავხდით ასი თუმანი მიგვეცა.

— როგორ წაგვიყვანთ საღურამდე? — ვკითხე ორ მეეტლეს (ორი ეტლი უნდა გვევიჩავინა, რადგან ჩენ შეიღნი ვაყავით და თან წერილი ბარგიც ბლომათ გვქონდა).

— ას თუმანათ, — გვიპასუხეს მათ.

ჩემი ცოლი მყისვე გონს მოვიდა, მე კი უცემ სლოკინი შემიჩრდა.

არ დავითომ. მივეცით ასი თუმანი.

საღგურზე რომ მივედით, ბარგიც ჩაბარება და ბილეთის ყიდვა იყო საკირო.

— თუ კაცი ხარ, მიიტანე ეს ორი მაფრაში საბარეო განცოფილებაში, ვუთხარი ბარგის გადამტანს.

— 500 ჩანათი ელიჩება, ბატონ!

ბილეთის კისასთან იმ სიგრძე კუდი იდგა, რომ მიღწევა მატარებლის წასელამდე ყოვლად შეუძლებელი იყო.

— ხომ ვერ ამიღებთ ბილეთს? დარცხვენით შევეკითხე ერთ შებარგეს.

— მე ვერა, ბატონი, აქრძალული მაქვს, და თუ გნებათ, გასწავლით კაცს, რომელსაც შეუძლია აღება.

— მაშ, მიშველე, გეთაყვა!

— მიბოძეთ 20 თუმანი და გაჩვენებთ.

რა გაეწყობოდა, მივეცი...

— ამიღეთ, ღვთის გულისათვის, 4 დიდისა და 3 საბარებო ბილეთი, — შევევედრე იმ კაცს, რომელთანაც მებარევმ 20 თუმანათ მიმასწავლა.

— თითო ბილეთის აღება 5 თუმანი ელიჩება, ბატონ!

ბილეთების ფასიც რომ გადავიხადე, 4500 — ღა ღამრჩა.

ვაგონთან რომ მივედით, კონდუქტორმა ბილეთები გამომართვა, დაკვირვებით დახედა და ზიზლით შემომაშტერდა სათვალის ქვეშიდან:

— იმე, რავა გეკადრება, ბატონი? — დამიწყო ყველილი კონდუქტორმა: შევე განათლებულ კაცს არ გავდე და ორი ციფრი კი ვერ ამოგიყითხავს! შე დალოცვილო, ვერ ხდავ, შენ ბილეთებს რომ დევიტსორ დევინოსტრო პიატი ნომერი აწერია? დევიტსორ დევინოსტრო პიატია მერე ეს ვაგონი? აპა, გაცყარე თვალი და წეიკითხე! მიბრძანდით, ბატონი, თქვენ ვაგონში!

შემორე ზარი მიცემული იყო კიდეც. სხვა ვაგონში წასელა, თუნდაც ძებნაც არ დაგჭირებოდა, დარჩენას უდრიდა.

— ღვთის გულისათვის, გაგვიშვით ამ ვაგონში. ხომ ჰედავთ, ახლავე მესამეს დაჭრავენ, დაყრჩებით! — შევეცვეწი მე.

— მეიტათ ათი თუმანი და მობრძანდით.

მივეცი, როგორც იყო მოვათავსე ჩვენები, მაგრამ მე კი ვედარ შევედი შიგ, ადგილი აღარ იყო და იძულებული გავხდით ვაგონში შევმძრალიყავი რის ვით ვაგლახით.

გორის სადგურამდე ვერ მოვახერხე ჩამოსვლა და ჩვენების ნახვა. გორში რომ ჩამოვედი, ისე ვიყავი ქანც-მილებული და დათენთილი, რომ გასამაგრებლათ ერთი რიუმე არაყი და ორი ჭია ლეინო გადავკარი და მხოლოდ შემდეგ ვინახულე ჩვენები.

— მამა მოვიდა, მამა! დაიყვირა ჩემმა 6 წლის გოგომ და ყელზე მომეხვია, მაგრამ უცებ ხელი გამოიშვა და შემომხედა.

— მამი, შენ მოვრალი ხარ?

— რას რაშავ, შე საზაგელო? ჩუმათ იყავი! მოყრალი საიდან ვიწენები?

— მაშ ღვინის სუნი რადა გაქვს?

— ჩუმათ, შე საზაგელო: დედმ არ გაიგონოს!

— მომეცი ათი თუმანი, თორემ დედას ვეტუვი ეხლავე!

რა გაეწყობოდა, მივეცი...

ბორჯომში რომ ჩამოვედი და აგარაკის ბე გადავიხადე, 150 თუმანი-ღა დამრჩა.

ოცდახუთი თუმანი მეორე დილით ცოლს მივეცი სანოვაგისთვეის.

— ბაბალე, ხომ იცი, თირქელები მტკიცა და ექიმმა საქონლის ხორცი ამიკრძალა. გენაცელე, ჩემთვის ერთი კარგი წიწილა იყიდე და შე-

Եղեցինակ Շեմայակին Շահուրիչ, — Վահեռապ լոռա.

— Ի դեպք Քովունաս ար զայուղալոնձ, մոմիշի-
րա լոռամա մուղլութելուն.

— Ի ամեցա՞ի? — Ճայուղակունց մը.

— Մոստա ան տուման և գոյուն.

Ի գայթիպոթել, — մուշպա.

Հայրին շաբախուռա.

Ոմստան տէյքն մուրիս, մը լեց ճամագցածո-
ւա, հոմ իբթա ծքալ կորչ ջութեցրա Շայունս,
հոմելու ամ նագեսլուն ծարչամիս որկացնուրուս
գամցած ոյս մուշպա, „Սալամոն“ զամարտա ար
շանցինած. ամ „Սալամոն“ մոնաշուռապա մը լու-
թուացա և սասպուռած 100 տշման Շամբուրա.

„Սալամոն“ հոմ գամրապաթու, զուրի իբթի
հոգո մոցուռած, խալեշի ճաշունց պյուտ-օյտ սո-
հուլու, հոմ պայլա նալունած ճաշունցեթու.

— Կորչ! — Վահեռա ջութեարու Շայունս.

Եղեցինակ Քոն: Գոնճա մոնաշուռապա մուզուն Շենս
„Սալամոն“?

— Եյ մոնաշուռապ կուրու, կալո, Ի զինա!

— Եյ հոմ մոցսալուար, իս կուրու միաս ար
նունացս հոմ սպենչ զամուալ. մոստա 500 տշ-
ման, տորիմ պյութան յուսաւ ար լուսկրաց! լուռաց,
շապան զագու, հոմ Եյ ար և առ ար շանցուռած,
ալուսկուու արուցած. մոստա 500 տշման!

Կորչ ջութեցրա Շայունս ամս շացունցանց յուրու
շանցարտա մուլ տազուս սոցրմատ և շապան սամո
արնոնտ ճաշաբարացած.

Հալա շացունցանց: Կրոնիս ար ճաշունցաս,
ուս ճամուտալա 500 տշման.

Աելա տէյքն տոտոն շանցայ:

— Գան իբթի ծիրալու, հոմ սպեյսունոնիր
շացեցու?

Ե Շ Տ Ա Ճ Ո Տ Բ Ա Խ Ո Տ

(Ե Շ Տ Ա Ճ Ե)

I

Վոն ցրմենցատ յ՛Շմայուլուտ Շոտաս Շայունս եղլոնս,
սայմետա մոստա յուրամբա ցոն յինա յինա շանցուռապա;

Թան ցլաս ճացուռանա, զեր աշուտ, հանումբա շայունցատ եղլոնս,
սյունս աթլա վորտա ճատմեն տու թնօսա շնանցուռապա!?

Շիպալու Շեյցլալոն յուրունած, կպուսայ մետցիշուռունուտ;
Մարտ նշուրցունսա ցամշեցաւսնա, բազայն մոստանցուռունուտ...

Կյուլազ մոտ կուրուտա յահուրունուտ, ար նինա եցարմնանցուռունուտ,
որով յուրուս, ճացուռանա, լուտուտա տու յուլինցուռունուտ.

Աթ շամարտեմս կրմալուած ամստած յուշացած սուլույթա ցանչունցուռունուտ;
Ցրմելու նարույտա մոցանց յուրունուտ անալի հեծունունուտ;
Գյուրիտա նացոյիրու, նալունցունուտ, նանաշունունուտ:
Վոտ տյունունու Շիպալու լումունունուտ — յահուրուլ մցուսանուտ կրմանցունուտ.

Կյուլազ կյուլա յոյս ցառույթս, Շոն ցոն լուս տշնա յոյսինուս!!.
Ցայցացս ուժումալու նալունցունուտ սամունուտ մշն ճայցինուս;
Միշունունուտ յուշունուտ ցարյունուտ, լամբ տու գուլու Շոյս նեսուս,
Ցամիշունունուտ ունակուտ անանց Շենտարա յուշեցս!!.

Ցցորմա օնարիուս արույմա յ՛Շմայս մոնանցուռապա
մաս ակոլունուտ նարույտա, ստեռաց նարնասուտ Շիպալունուտ!
Սայմե յուցունուտ յուշունուտ, սպուրդու տու ցայցուռունուտ,—
Ի սոնանցունուտ ցալուս անալուս, հոս արցեմս սուրպա ծյուրունուտ..

Եյ մոնճա ցուտերա սալամի ցրմենցատ ցոնուրունուտ,
ար նշուրցունուտ մուռու, մերուտ մոնուրունուտ.
Ցցուն Ցցունանտա ցանյահուց ցրմենցատ մոնուրունուտ,
աթլա ծյուրաց մուարյն Շոյսիտա յուրունուտ!..

Յ. Կայեսու Ցցուն.

პატარა ფელეტონი.

შესაორები და იშვიათი.

ვინ არ იცის, თუ რა საბედისწერო საკითხს წითელიადგენს ჩევნი ნორჩი რესპუბლიკისათვის საგარეო ვაქტობის საკითხი. ღლეს ბავშვმაც კი იცის, რომ ჩევნი ვალიურის შექმნა შეიძლება მხოლოდ საგარეო ვაქტობის მცვილრ ნიადგზე დაყენებით.

მოგეხსენებათ, ყველა თავისუფალ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს არმე საარსებო წყალი, რა თქმა უნდა, არა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობათ, არამედ წყარო შემოსავლისა რესპუბლიკის ხარჯთ დასაფარივად. ეს გახლავთ სერი სმიდიდე, რომლის გარეშე ბაზარზე გატანით რესპუბლიკა მიიღებს განსაზღვრულ საარსებო საშვალებებს. საეჭსპორტო საგანთა აღმოჩენა, აი უმთავრესი საზრუნვა და თავსატები საკითხი რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრისა.

რა გავიტანოთ საზღვარ გარეთ ბაზარზე, რომ ნაცვლად იმისა იქიდან შემოვიტანოთ ჩევნთვის საჭირო საგნები? ყოველი პატიოსანი და სამშობლოს მოყვარული ქართველი ვალდებულია იფიქროს ამ საკითხზე და შეძლებისგვარი დახმარება აღმოჩინოს მას, ვისაც ისტორიაშ დაკისრა ეგ მძიმე ტვირთი.

ყურადღების ღირსია აგრევე ის გარემოებაც, რომ საეჭსპორტო საგანთა გამონახვის დროს ჩევნ სახეში ვაქტობით ჩევნი, ადგილობრივი მოთხოვნილებაც და ვავიტანოთ ის, რის გატანაც კრიზის არ გამოიწვევს შინაგან ბაზარზე.

მას შემდეგ, რაც ჩევნი ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მე თავვამოდებით ვფეხტობ ამ საგანზე და უნდა მოგახსენოთ ჩემს შრომის უნაყოფო არ ჩაუვლია. შეიძლება მარტო ჩემ მიერ აღმოჩენილ წყაროებზე ცერ დაემყაროს ჩევნი ქვეყნის კეთილდღეობა, მაგრამ იმედი მაქვს საკმარის მაიც გამოაცოცხლებს იგი ჩევნს საგარეო ვაჭრობას. გთხოვთ მომისმინოთ:

იშვიათია დედა-მიწის ზურგზე ისეთი მხარე, რომელ ც საქართველოს ვით მდიდარი იყოს თავად-აზნაურობით. მართალია ჩევნმა მთავრობისამ თათქმის გააუქმა აღნიშნული წლება, მიგრამ ცხოვრებაში, ანუ უკეთ ვსთქვათ პრაქტიკაში, კვლავ არსებობს და ვერც ერთ სამინისტროს ვერ ნახავ, რომ შეგ კნიაზობას არ განაგრძობდენ. გარდა ქიზიყისა ეს წლება ყველაც თითქმის სამიცამო პროცენტს შეადგნს საერთო მცხოვრებლებისა, ხოლო სამეცნიერო მშენები (პ-ნ აშორდის მეოქვით) ვერნებ თოხმოც და ათ პროცენტსაც აღმეტება. სწორეთ ამ სიჭარებებ დასცა ჩევნს ქვეყანაში მათი ღირებულება და ჩევნს საგარეო ვაქტობას თამაბათ შეუძლია მათი საგარეო ბაზარზე გატანა, მით

უმეტეს, რომ ეს გარემოება, რამდენათაც მე ვიცი, ჩევნს ხალხში დიდ უკმაყოფილებას არ გამოიწვევს.

აგრეოვე დანამდვილებით ვიცით, რომ თსმალების თითქმის არ გააჩნია თავად-აზნაურობა და ჩევნს საქონელს დიდის სიამოვნებით მრიღებს. განსახლებული მიღრევილება ამ წოდებისა „ფაშისტისადმი“ თავდებია ამისი. სამაგიეროთ ოტომანის იშვიაზნი მოგვცემს ჩევნ შავ ყავას, ფორთოხალსა და ლელვის ჩირს.

ბულგარია, სადაც თავად-აზნაური წამლადაც არ მოიპოვება, დიდის ხალხისთ მიღებს ჩევნს ექსპონატს*) და სამაგიეროთ ჩევნს შინაგან ბაზარს უზრუნველ ყოფს ხახვითა და წიწაკით.

საეჭსპორტო აესტრიასა და გერმანიას, მართლია ჩევნიდები არა, მაგრამ თითქმის საქმიან მოეპოებოვება ეს საგანძურტო და ვეკვობ, დღევანდველ პარობებში იქაურ ბაზარზე ამ საქონლით ჩევნ თავი ვისახელოთ.

მეორე დარგი საეჭსპორტო ღირებულებისა გახლავთ ჩევნი სიტყვა-კაზმული მწერლობა. უმთავრესათ ეგ შეეხება ჩევნს ლექსებს. ვინ არ იცის, თუ რამდენი ზედმეტი პოეტური ნაწარმოების გატანა შეიძლება ჩევნი ქვიყნის საზღვრებიდან. ამ წინაზე, ერთხმა ცნობილმა მგოსანმა, კერძო საუბარში განმიცხადა, რომ მას უკვე მზათა აქვს „ორი ურემი“ ლექსები და ცხადია თუ ბაზარი აღმოჩნდება არა ერთს და ორ ურემს კიდევ სხვას დამზადებს. რასკვირევლია, ეგ ჩემი მეგობარი მარტო არ არის იმისი ცალი ჩევნ არა ასი და ათასი სხვა მოგვეპოვება.

ჩევნებურ ლექსითა სიმრავლე, და უმეტეს კი მათი ღირსება, მე სითამამეს მაძლევს განვაჭადო, რომ ამ საქონლით ჩევნ პირდაპირ წავლე ავთ მოელა ცოტრალური ევროპის ბაზარს, ვერცერთი ქვეყანა ამ დარღვი ჩევნ კონკურენციას ვერ გაგვიწევს და თუ მაიც შეეცდება ჩევნთან უგბრძოლებას, უკველია დამარტიდება. მე იმის განხილვაში არ შევიდარ, თუ რა შემოვიტანოთ ამ სანოვაგის სანაცვლოდ ევროპის ბაზარიდან, ვინაიდან ყველა თქ ენაგანმა კარგათ იცის ასოდენ საჭიროებას წარმოადგენს ჩევნთვის დღეს დღეობით მაკარინი და ვერმიშელი, რომელიც სრულიადაც არ გიაფებულა მიუხედავათ დამფუძნებელი კრების მუშაობისა. საზღვალოთ კი შემოსატან საგნებზე უფრო ადვილა შეჯელბა და რისკისაც საკმარისია დაარსდეს ერთი შეტეული კრმისია.

(შემდეგი იქნება)

მორიცელი.

*) მართალია ძევლათ ამ მხარემ უარი სთქვა თავად დადგინძე, მაგრამ ეხლა დროება გამოიცვალა.

АЗЕРБЕЙДЖАНЪ.

Оскару Ивановичу Шмерлингъ.

ДОРОГОЙ

ОСКАРЪ ИВАНОВИЧЪ!

Какъ-вы сіе усмотрите изъ текста настоящаго номера, журналъ нашъ передъ лицомъ всего міра объявляетъ себя независимымъ и самостоятельнымъ органомъ.

Министрамъ иностранныхъ дѣлъ всѣхъ державъ міра нами разослана слѣдующая телеграмма:

„Совѣтъ Двухъ „Эшмакисъ Матрахи“ объявилъ 30 ноября учрежденіе независимаго юмористического органа. Ставя въ извѣстность о вышенизложенномъ, мы имѣемъ честь просить Ваше Превосходительство сообщить объ этомъ Вашему правительству.

Члены Совѣта Двухъ { Эшмаки
Тагуна.

Въ постоянныхъ заботахъ о преуспѣяніи нашего органа, мы, разумѣется, не могли забыть тѣхъ неоцѣнимыхъ заслугъ Вашихъ передъ дорогимъ нашимъ сердцемъ журналомъ, кои на вѣки запечатлѣны на страницахъ его во славу Вашу и въ назиданіе читателямъ нашимъ.

Помятуя сіе, милостиво повелѣваемъ Вамъ, дорогой Оскаръ Ивановичъ, быть полномочнымъ Посломъ независимаго органа нашего при Правительствѣ дружественной намъ Азербайджанской Республики.

Жалуя Вамъ настоящую грамоту, пребываемъ въ твердомъ упованіи на то, что столь испытанное нѣдрemanное око Ваше не ослабнетъ въ неукоснительномъ бдѣніи за порядкомъ и благоустроеніемъ ввѣренной просвѣщенному попеченію Вашему странѣ и съ подобающею Вамъ добросовѣстностью будетъ блести интересы журнала нашего.

Уповаемъ также, что дружественное намъ Правительство республики Азербайджанской настоящую грамоту нашу не сочтетъ актомъ вмѣшательства нашего во внутрення дѣла свои, и крѣпкія узы, связующія насъ съ дорогою намъ сосѣднею республикою и впредь останутся столь-же нерушимыми.

Повелѣвая о вышенизложенномъ, молимъ Всевышняго о ниспосланіи Вамъ силъ и мудрости въ преодолѣніи трудовъ на благо органа нашего и пребываемъ неизмѣнно благосклонные

и любящіе Васъ Эшмаки
Тагуна

Дана въ г. Тифлісѣ, лѣта 1919, ноября 30.

„Гѣзбәкисъ მათხახისъ“ რედაქცია.

Б Թ Ը

სამუსლიმანო ბრიტანეთის, ანუ საბრიტანეთი საქართველოს მთავარ ქალაქის ბათუმის გენერალ თანამშრომელს

გლიცვაძეს.*)

თქვენო აღმატებულება! „ეშმაკის მათხახის“ დემოკრატულ მთავრობას ღიღი ხანია მწარედ აფიქრების სამარისტებური დუმილი, რომელსაც მოუცავს მთელი ჯრჯოხეთის დემოკრატია. თქვენს აღმატებულებას კარგად მოქსენება თუ როგორ გაათავსა ამ გარემოებაშ. ჩვენი საერთო, შინაური და გარეშე მტრები, როგორ აამხელრა ჩვენს წინააღმდეგ ჩვეულებრივ ცროს ინდიფერენტული და ნეინტრალური მასსა, ამასთანავე მშვენივრად მოქსენება ისიც, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ დუმილს და რა საბედისტერო კატასტროფის წინაშე შეიძლება დააყენოს მან ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა.

საკიროა, ბოლო მოელოს ამ მომაცემის გენერალულ დუმილს! დროა შეიგნოს, კველა ჩვენგანმა, რომ ჯოგოხეთის დემოკრატიის საასებო ინტერესები დაუინგებით მოითხოვს შეერთებულის ძალით და ერთის გარკვეული გზით მოქმედების გაჩაღებას. საკუთარ ძალთა დაქაქვა და ხელსაყრელ ისტორიულ მომენტის გაშეგბა და უკველად გამოიწვევს ჩვენს საშინაო საქმეებში უცხო ელგმენტების ჩამოტკის, რითაც სახეცით ისარგებლებენ ჩვენი მტრები, რომ არა თუ სახელი, არამედ თავიც გამოტკინ საზვოო კონფერენციის წინაშე. ზემორე ალიშტულ მიზნის მისაღწევად, ე. ი. ჩვენი შეერთებული მოქმედების გასახლებლათ „ეშმაკის მათხახის“ დემოკრატიულმა მთავრობამ განიზრახა სრულიად საეშმაკო რეპულიკის კონფერენციის მოწვევა. კონფერენციის დღით დაიწყენ ნოემბერის 30. გაცნობებორა ამას, მოგიწოდებო დაესტროოთ აღნიშტულ მოლაპარაკებას, ხოლო, უკეთ პირადათ თქვენი დასწრება მოუხერხებელი იქნება, წარმოადგინოთ სრული დასაბუთებული მოხსენება თქვენიდამ რწმუნებულ რაიონის შესახებ.

„ეშმაკის მათხახის“ გარეშე საქმეთა მინისტრის ამბანაგი მორიცლი.

* ასლი ფოთის „საბჭოთა ნაბადის“ კომისარს ბუტუნას, ჭავათურის მთავარ რწმუნებულს გოგიას, ხაურის რინის გზათა მოძრაობის უფროს ფონ-ტეფოს და სხვათა მრავალი



დემოკრატიული სკოლა.



პატარა მოწაფეები. შვიდი საათი—სკოლაში, 4 საათი—გაკვეთილების მზადება, ორი საათი—მუსიკა და ტანცარჯიშობა. სულ—13 საათი! გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს!